

Case Study

შპს „SRT“ – თხილის წარმოება

ქ. ზუგდიდში მდებარე კომპანია SRT 2012 წლიდან – თხილის მწარმოებელი და ექსპორტიორია. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ექსპორტის გაზრდის მიზნით, კომპანიამ თხილის ლაზერული დახარისხების დანადგარები შეიძინა და დაამონტაჟა. განხორციელებული ინვესტიციის შედეგად, შპს SRT –იმ წარმატებით გაიარა HACCP და ISO2200:2005 სერტიფიცირების პროცესები და ამჟამად მათ მიერ წარმოებული პროდუქცია ევროსტანდარტებს აკმაყოფილებს. პროდუქტის ხარისხის ამაღლებას შედეგად მოყვა საექსპორტო ბაზრის გაფართოება და პროდუქციის გასაყიდი ფასის მატება. ინვესტიცია განხორციელებული იქნა EU4Business- ის EBRD საკრედიტო ხაზის სანიტარული და ფიტოსანიტარული კომპონენტის ფარგლებში გამოყოფილი თანხით და პროექტის წარმატებით დანერგვის შემდეგ, კომპანიას გადაეცა კრედიტით მიღებული თანხის 15% გრანტის სახით 45 000 ევროს მოცულობით.

განხორციელებული ინვესტიციები:

- თხილის ლაზერული დახარისხების დანადგარის შეძენა და მონტაჟი - “NIMBUS 1200” Optical Sorter BSI

ინვესტიციის მოცულობა:

- სესხის ოდენობა: 300 000 ევრო
- გრანტის მოცულობა: (15%): 45 000 ევრო



ევროკავშირის დირექტივებთან თანხვედრა:

- ევროსაბჭოს რეგულაცია (EC) No 834/2007 – 2007 წლის 28 ივნისი - ბიოპროდუქტების წარმოება და მარკირების შესახებ, რომელიც აუქმებს რეგულაციებს - (EEC) No 2092/91 და (EC) No 178/2002 და აწესებს სურსათის უვნებლობის კანონმდებლობის ზოგად პრინციპებს, რომელიც დაწესებულია ევროპის სურსათის უვნებლობის მაკოორდინებელ ორგანოს მიერ სურსათის უვნებლობის საკითხებში.
- რეგულაცია 2023/2006 წარმოების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა ისეთ მასალებზე რომელთაც შეხებვა აქვთ საკვებთან
- 2014/30 / EU დირექტივა დაბალი ძაბვის მქონე ელექტრო მოწყობილობებზე;
- 2006/42 / EC დირექტივა მანქანა დანადგარების შესახებ (დანართი II);
- 2006/25 / EC დირექტივა ხელოვნური ოპტიკურ-რადიაციული დანადგარების შესახებ (ლაზერული აპარატები) 2013/59 EURATOM საბჭოს დირექტივა მაიონირებელი გამოსხივების უსაფრთხოების სტანდარტების შესახებ